სატანას სახის მეტამორფოზა ჯონ მილტონის „დაკარგული სამოთხისა“ და ნათანიელ ჰოთორნის „ალისფერი ასონიშნის“ მიხედვით

გვანცა ჩოხელი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე უცხო ენათა ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია, რომანული ფილოლოგია), შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

ანგლისტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პაატა ჩხეიძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გვანცა ჩოხელი	თარიღი:
---	---

აბსტრაქტი

წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომი მიზნად ისახავს ერთმანეთს შეადაროს ორი ნაწარმოები - ჯონ მილტონის „დაკარგული სამოთხე“ და ნათანიელ ჰოთორნის „ალისფერი ასონიშანი“ და პარალელები გაავლოს ორივე ნაწარმოების პერსონაჟებს შორის. პარალელების გავლება კი, თავისმხრივ, ემსახურება ამ პერსონაჟების მსგავსი და განმასხვავებელი ნიშან-თვისებების აღმოჩენას, რათა უკეთ მოხდეს ორივე ნაწარმოებში განვითარებული მოვლენების გაანალიზება.

მოვლენებისა და პერსონაჟების ქცევის გაანალიზებით კი უნდა გამოიკვეთოს ნაშრომის ძირითადი საკითხისათვის საჭირო თემები, რათა შემდგომ მათზე დაყრდნობით გაკეთდეს ანალიზი და დადგინდეს თუ რა სახის ცვლილებებს განიცდის ხორცშესხმული სატანა, რა ნიშან-თვისებებით გამოირჩევა გარემო სამყაროდან და რა გზებით ახერხებს დასახული მიზნის მიღწევას.

ნაშრომში გაანალიზებულია მილტონისეული სატანას სახე. საუბარია მის მიერ მთავარანგელოზობიდან ზნედაცემულ და ზეციური სამოთხიდან გამოდევნილ ანგელოზობამდე განვლილი გზა. გამოკვეთილია ის სავარაუდო ფაქტორები, რომლებიც მისი რადიკალური ცვლილებების მიზეზი უნდა გამხდარიყო.

ჯონ მილტონმა და მისმა პერსონაჟმა დიდი გავლენა იქონიეს ნათანიელ ჰოთორნზე. მან პოემისეული სატანას სახე და მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები განავრცო და ახალ ამერიკულ ყოფას შეუსაბამა. მან თავის ნაწარმოებში უკვე პერსონიფიცირებული სატანა წარმოგვიდგინა, რომლის გონებაცა და გრძნობებიც მხოლოდ ბოროტ საქმეთა ქმნადობისაკენაა მიმართული.

ნაშრომში საუბარია ასევე ქალის სახეზე, რომელიც ნათანიელ ჰოთორნმა „ალისფერ ასონიშანში“ დაგვიხატა. ამ ქალზე საუბრით კი ხაზი გაუსვა ფაქტს, რომ პურიტანულ საზოგადოებაში ქალების ემანსიპაციის პრობლემა იდგა. თუმცა,

ჰოთორნის პერსონაჟი თავისი მიზანსწრაფულობითა და შეუპოვრობით XIX საუკუნის ვიქტორიანული ეპოქის ქალს ჰგავს, რომელიც საზოგადოებაში სათანადო ადგილის დაკავებისათვის იბრძვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სამოთხე, ალისფერი ასონიშანი, სატანა, ცოდვა, დანაშაული, შურისძიება.

Abstract

The paper aims to compare two works – John Milton's "Paradise Lost" and Nathaniel Hawthorne's "The Scarlet letter". It tries to draw a parallel between the characters of these writings. And drawing the parallel itself serves to find out the similar and distinctive signs of the characters in order to analyse the developed events in the works.

By analysing the events and the charaters' behavior it should be highlighted the main themes of the given paper in order to analyse them and to find out the changes the personified Satan suffers from. It also should be highlighted the signs that differs him from the world around him and the ways he manages to reach the goals with.

The paper analyses the image of Milton's Satan. It represents the way which the Satan managed to walk from being one of the main angels to the fallen and immoral being that was banished from the heavenly paradise. There are emphasized the probable factors that might have turned into the reasons of his radical changes.

John Milton and his character have highly influenced Nathaniel Hawthorne. He prorogated the poem's Satan's image and the signs typical for him and connected them to the New American life. In his novel Hawthorne described already personified Satan whose mind and feelings aim to do evil things only.

The given paper also deals with the image of a woman that Hawthorne described in "The Scarlet Letter". Talking about this woman helped him to emphasise the fact that the puritan society faced the woman's emancipation problem. But Nathaniel's character because of her purposeful temper and obstinacy is similar to a woman who lived in the Victorian Era of XIX century and who faught to gain the proper place among the society.

Key words: heaven, the scarlet letter, Satan, sin, crime, revenge.

მადლობა

მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ბატონ პაატა ჩხეიძეს, რომელმაც თავისუფალი არჩევანის უფლება მომცა სამაგისტრო ნაშრომის თემის არჩევისას და რეკომენდაციებითა და შენიშვნებით დამეხმარა მის მომზადებაში.